საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მეხ[illegible]

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხო ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. [illegible]
4 „ 15 „ [illegible]
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 1 მ. 50 კ. ზერკონზე.
4 „ 1 მ. — „

№ 636 კვირა, დეკემბრის 2. 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

## ახალი ყოფა-ცხოვრება

ბევრი იწერება და ბევრი ლაპარაკია ამ ჟამად ახალი ცხოვრების ახალი ფორმების შექნის შესახებ. ოქტობრის რევოლიუციამ გაარღვია და მიანგრ მოანგრია ძველი ცხოვრების ბევრი ზღუდე და კედელი, ახალმა ეკონომიურმა ურთიერთობამ გარდატეხა ძველი ფორმები ცხოვრებისა, გადაასხვაფერა იდეოლოგია, გაბზარა ძველი ტრადიციები, შექმნა ახალი სულიერი განწყობილება. და ყველა ეს მოხდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის შემადგენელ ელემენტთა ურთიერთობაში. უმაგრესი ციხე, ზღუდე ძველი ცხოვრების რელიგია, სარწმუნოება, ნიღაბ აგლეჯილი, სასიკვდილოდ დაკოდილი, სულს ძლივს ღა ღაფავს და უკვე მისი საბოლოო მოსპობის და თავიდანვე აცილების პროცესი ჩქარის ნაბიჯით ვითარდება და სრული გარანტია გვაქვს ჩვენ თუ არა, მომავალი თაობა სავსებით განთავისუფლდება ჯერ კიდევ დარჩენილ, მაგრამ საკმაოდ დაჩლუნგებულ კლანჭებისაგან.

მაგრამ არის სფერო, არის ცხოვრების დარგი, სადაც შეიძლება ითქვას რევოლიუციის ბასრ თვალს თითქ ის არ შეუხედია, სადაც ჯერ კიდევ თითქოს გამეფებულია ძველი ტრადიცია, სადაც მეფობს ძველი ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება შინაარსი შეიცვალა. ეს გახლამთ ოჯახი რა თქმა უნდა მშრომელის და არა ბურჟუაზიული. როდესაც ახალ ყოფა ცხოვრებაზე ვლაპარაკობთ პირველ ყოვლისა მთელი ჩვენი ყურადღება სწორედ ამ ოჯახისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი, აი აქ უნდა მოხდეს ძირითადი გარდატეხა, ისეთი როგორიც მოხდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თუ სადმე კიდევ მძლავრად ფორთხალობს სასიკვდილოთ დაჭრილი რელიგია და მისი თანამგზავრი ცრუ სარწმუნოება ეს სწორედ ოჯახი გახლავთ სწორედ ცჯახი, ოჯახური ურთიერთობა, მისი ყოველდღიური შინაური ცხოვრება. საზოგადოების შემადგენელ ელემენტთა შორის ყველაზე უფრო კონსერვატიული და გაყინულია. მესჩანურ სულის კვეთებას, რომლითაც ხასიათდებოდა ძველი ბურჟუაზიული ოჯახი, დღესაც ადგილი აქვს თუ გნებავთ ისეთ ოჯახშიაც, რომლის წევრნი წმინდა პროლეტარიატს ეკუთვნიან და სულით და გულით რევოლიუციას ზიარებულან. ახალი ყოფა ცხოვრებ[illegible] ფორმების შექმნა პირველ ყოვლისა სწ[illegible] ოჯახიდან უნდა დაიწყოს.

ოჯახური ცხოვრების, მის შიგან არსებულ ურთიერთობის გამომხატველი ლიტერატურაა, რომელსაც იმავე დროს დიდი გავლენა აქვს თავის მხრით ოჯახურ, შინაურ ყოფა ცხოვრების ვითარებაში. მაგრამ საუბედუროდ ჩვენი ლიტერატურა თითონაც ვერ განთავისუფლებულა ძველი ტრადიციებისაგან.

ცოტაოდენი გამონაკლისით შეიძლება ითქვას რომ ჩვენ ლიტერატურას ჯერ კიდევ ძველ ცხოვრებასთან აქვს საქმე, იგი ან კვლავ ძველ ჰანგებზე მღერის და ძველითაა გაჟღენთილი, ან და უკეთეს შემთხვევაში ხელს უწყობს რევოლიუციას ამ ძველის დანგრევაში, მაგრამ ვერ ჰყვება ფეხდაფეხ ახალი ცხოვრების შექმნაში და ვერ მისდევს თვალ ახილულ რევოლიუციის მძლავრ ნაკადს. ჩვენ არა გვაქვს დაკვირვებანი, მხატრული ( დასურათება იმისა თუ რა ცვლილება შეიტანა რევოლიუციამ ამ წმინდა ინტიმურ ოჯახურ ცხოვრებაში, რაგვარი სულისკვეთებათა და მისწრაფებათა შეხლა-შეჯახება გამოიწვია და შესაძლოებანი დაბადა ახალი ფორმების შექმნისათვის.

გუშინდელი მონა, ყოველგვარ უფლებას მოკლებული, მშრომელი დღეს სრულუფლებიანი პასუხისმგებელი მოქალაქე გახდა დიდ აღმშენებლობითი საქმის აქტიური მონაწილე გახდა. რა ცვლილება შეიტანა ამ გარემოებამ მის ოჯახურ ცხოვრებაში, რა სახით მიეგება ამას ძველი ტრადიციებით დატვირთული ოჯახი? აი ძირითადი საკითხი, რომელიც პასუხს მოითხოვს ჩვენი ლიტერატურისაგან.

აშკარაა, რომ ჩვენს ძველ გაყინულ ოჯახში შეჭრილი რევოლიუცია დიდს კონფლიქტებს იწვევს. ერთი ხელის გასმით, ხელოვნურად გარდაქმნა ოჯახური ცხოვრებისა რასაკვირველია ნაყოფს ვერ მოგვიტანს. ქალი ძველი მონობისაგან სავსებით განთავისუფლებულია სამოქალაქო და საზოგადოებრივ ასპარეზზე, შეიძლება ბავშვთა აღრზდის საკითხიც იმდენად მოგვარდეს საზოგადოებრივი ხასიათის საშუალებით, მაგრამ ეს მაინც ვერ გადასწყვეტს საბოლოოდ ოჯახის ბედს, მაინც რჩება ის ინტიმიური, შინაგანი თვისებანი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ახალი ყოფა ცხოვრების შექმნაში. აქ იბადება საკითხი, მეტად მტკივნეულოვანი, მეტად რთული და ყველაზე მეტად ძველი შხამით მოწამლული—სქესობრივი ურთიერთობა და ეგრედ წოდებული „სიყვარული“, ეს ერთ ერთი დედა ბოძთაგანი ძველი ლიტერატურისა. მგონია არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ქალის სრული განთავისუფლების და ახალი მეოჯახის შე[illegible] ძირითადი საკითხი სწორედ ამაშია. „ძაღლის თავი“ სწორედ აქ არის ჩამარხული. აი დაუშრეტელი წყარო ახალი ლიტერატურისათვის, აი სად უნდა რადიკალურად გადისინჯოს ძველი ლირებულებანი და ახლი გადაფასება მოხდეს.

ი. გედევანიშვილი.

## ბოლო-ამბები

(„ზაკროსტას“ ცნობები 1 დეკემბრიდან)

— **მატესის სეპარატისტული მთავრობა ჩამოაგდო დიქტატორმა, ვინმე გეკტორმა**

— **ცენტრის ლიდერმა მარქსმა შეადგინა კაბინეთი.**

— **ბელგიის მთავრობამ რეკვიზიცია უყო გერმანეთის მოძრავ შემადგენლობას.**

— **საფრანგეთის პრესას შესაძლებლად მიაჩნია ინგლისთან კონფლიქტი**

— **დეკემბრიდან „ჰუმანიტე“ დაიწყებს რუსეთის ყოფილ იმპერატორის არქივის გამოქვეყნებას.**

— **საფრანგეთის პრესას შესაძლებლად მიაჩნია „ლათინთა ბლოკის“ დაარსება**

— **საბერძნეთის რესპუბლიკის გამოცხადების ხმები არ მართლდება**

— **მარქსის მთავრობაში შევიდნენ ბავარიის სახალხო პარტიის წევრებიც**

— **უმუშევრობა გერმანეთში უფრო იზრდება.**

## გერმანეთის ამბები

**სეპარატისტული დიქტატორი**

**ბერლინი.** „კელნიშე ფოლკსცეიტუნგ“-ის ცნობით, მატესის სეპარატისტული მთავრობა ჩამოაგდო დიქტატორმა, ვინმე გეკტორმა, როგორც ხმებია, მატესი გაიქცა დიუსელდორფში

**დ—რ მარქსის კაბინეთი.**

**ბერლინი.** ცენტრის ლიდერმა დ—რმა მარქსმა თითქმის სრულიად, შეადგინა ახალი კაბინეთი. კანცლერის თანამდებობა უჭირავს დ—რ მარქსს, საქმეთა მანისტრი—შტრეზემანი, ფინანსთა მინისტრი—ლიუტერი. შტრეზემანის კაბინეთის მინისტრების უმრავლესობა რჩება თავის ადგილზედ.

**მოძრავი შემადგენლობის კონფისკაცია**

**პარიზი.** ბელგიის მთავრობამ კონფისკაცია უყო გერმანეთის მოძრავ შემადგენლობას, რადგანაც გერმანეთის მთავრობას არ გადაუხდია 1 მეოთხედი მილიონი ფრანკი ლეიტენანტ გრაფფეს მოკვლისათვის.

**სარეპარაციო კომისიაში**

**პარიზი.** მიუხედავად საფრანგეთის მთავრობის პრესის რწმუნებისა, რომ ინგლისის წარმომადგენელი სარეპარაციო კომისიაში არ აღკრძალავს საკითხს არც ხარჯების განაწილებაზე და არც ოკუპაციის კანონიერებაზე, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მაინც ითვალისწინებს ახალ კონფლიქტის შესაძლებლობას ინგლისთან.

„ინფორმასიონი“ აღნიშნავს რურის ევაკუაციის შესაძლებლობას, დიუსელდორფის შეთანხმების გამო.

— პოლიტიკური წრეები შეფიქრიანებული არიან იმ შედეგების გამო, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს საფრანგეთის მთავრობისა და გერმანეთის მრეწველებს შორის დადებულ შეთანხმებას. პრესა დაინტერესებულია საკითხით, თუ როგორ უყურებს სარეპარაციო კომისია საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობების მიერ ოკუპაცია ქმნილ ოლქებში გადასახადების დაწესებას, საიდანაც მეტი წილი წავა საოკუპაციო ხარჯების დასაფარავად, ხოლო დანარჩენი მცირე ნაცილი შეტანილი იქნება სარეპარაციო კომისიაში.

სარეპარაციო კომისიის მორიგი სხდომა არ შესდგა, რადგანაც ინგლისის წარმომადგენელი გაემგზავრა ლონდონს ახალი ინსტრუქციებისათვის.

პრესა აღნიშნავს, რომ, თუ ინგლისი დასთანხმდა დიუსელდორფის შეთანხმებასთან დაკავშირებულ შემოსავლის ნაწილის მიღებას, ამით იგი იძულებული იქნება იცნოს რურის ოკუპაციის კანონიერებაც. „ეკო დე პარი“ ჰფიქრობს, რომ ინგლისის წარმომადგენელი, რათა თავიდან აიცილოს საკითხის ასე დაყენება, წინადადებას შეიტანს ოკუპაცია ქმნილ ოლქებიდან მიღებული შემოსავალი მოხმარდეს ოკუპაციის კანონიერების საბოლოო გადაწყვეტას.

**მთავრობის კრიზისი.**

**ბერლინი.** შტეგერმალდის მიერ რეიხსკანცლერის თანამდებობაზედ უარის თქმის შემდეგ, ებერტმა მთავრობის შედგენა მიანდო ცენტრის ლიდერს მარქსს. შტეგერვალდმა უარი სთქვა თანამდებობაზედ, რადგანაც შეუძლებელი იყო ბურჟუაზიული ბლოკის შედგენა. კაბინეთის შემადგენლობა ჯერ ვერ არის სრული, მთავრობა შედგენილი იქნება ცენტრის წარმომადგენლებისაგან; მასშივე დარჩება შტრეზემანის მთავრობის მინისტრთა მეტი წილი.

**მთავრობის შემადგენლობა.**

**ბერლინი.** გამოქვეყნებული შემდეგი შემადგენლობა მთავრობისა . რეიხსკანცლერი-მარქსი, მისი მოადგილე—იარრესი, გარეშე საქმეთა მინისტრი—შტრეზემანი, რეიხსვერის მინისტრი—გესლერი, ფინანსთა მინისტრი—ლიუტერი, შრომის მინისტრი—ბრაუნსი, ფოსტა-ტელეგრაფისა—გეფფე. ამ უკანასკნელს დავალებული აქვს აგრეთვე ოკუპაციი ქმნილ ოლქების გამგეობა.

თავისუფალი არის იუსტიციისა, გზათა, მრეწველობისა, სურსათისა და აღდგენის სამინისტროები. კაბინეთის შეუვსებლობა დაკავშირებულია უკანასკნელ წამში აღმოცენებულ დაბრკოლებასთან ნაციონალისტურ პარტიის წევრი, შელე რომელიც კანდიტატი იყო სურსათის მინისტრის თანამდებობაზედ, პარტიის დადგენილებით იძულებული იყო უარი ეთქვა მიღებულ წინადადებაზე. ამავე მიზეზით უარი სთქვა ბავარიის სახალხო პარტიის წევრმა ენემინგერმა, რომელიც განზრახული იყო იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზედ. ბავარიის სახალხო პარტიამ მთავრობაში შესვლის პირობად წამოაყენა, რომ მთავრობაში აუცილებლად ყოფილიყო ერთი ნაციონალისტი მაინც.

**ებერტის პასუხი.**

**ბერლინში.** ნაციონალისტების წერილის პასუხში ებერტი, სხვათა შორის, ამბობს, რომ ახალი მთავრობის შედგენა მან მიანდო მარქსს [illegible] ლოდ მის შემდეგ, რაც ყოველგვარმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

**„გერმანეთის თვითდახმარება“**

**ბერლინი.** გერმანეთის ცენტრალურმა მთავრობამ, გერმანეთის ცალკე რესპუბლიკების მთავრობებმა გამოსცეს შეთანხმებული მოწოდება გერმანეთის ხალხისადმი, რომელშიაც მოუწოდებენ მცხოვრებთ, მხარი დაუჭირონ მთავრობის ორგანიზაციას, რომელიც მიმართულია სამრეწველო კრიზისის წინაალმდეგ და რომელსაც ჰქვიან „გერმანეთის თვითდახმარება“

## უცხოეთი

**საკონტრიბუციო საკითხის გარშემო.**

**სარეპარაციო გადასახადები.**

**ლონდონი.** 29 ნოემბერი. 27 ნოემბერს გაიმართა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა და სახელმწიფო ხაზინის ექსპერტთა თათბირი სარეპარაციო კომისიაში მყოფ ინგლისის დელეგატის ბრედბერის მონაწილეობით, რურის ოლქში გერმანელ მრეწველებსა და საოკუპაციო ხელისუფლების შორის დადებულ ხელშეკრულების გამო შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად.

„დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი მოიგონებს, რომ თებერვლის სესიის დროს სარეპარაციო კომისიამ ხმების დიდი უმრავლესობით აღიარა რურის ოკუპაციის უკანონობა. საფრანგეთის პრესა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ინგლისის მთავრობას; პრესა აღნიშნავს, რომ თუ ინგლისს განზრახული აქვს სადაო საგნად გახადოს ოკუპაციის კანონიერება, მას არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს გერმანიიდან აღებულ გადასახადების ნაწილის მიღებაზე, ვინაიდან ეს გადასახადები დაწესებულია „უკანონო“ დიუსელდორფის ხელშეკრულებით. თუ ინგლისს სურს მიიღოს თავისი ნაწილი ამ შეთანხმების თანახმად, მან უნდა აღიაროს ოკუპაციის კანონიერება.

ფიქრობენ, რომ ბრედბერი ინგლისის მთავრობის სახელით წინადადებას მისცემს სარეპარაციო კომისიას მიიღოს ინგლისის ხვედრი ყველა გადასახადები, სანამ საბოლოოდ არ გადაიჭრება საკითხი რურის ოკუპაციის კანონიერების შესახებ.

ინგლისის პრესა გართულია ჩაარჩევნო კამპანიაში და თითქმის არ ეხება დიუსელდორფის შეთანხმებას. პარტიული ბელადები თავიანთ საარჩევნო სიტყვებში სრულიად არ ეხებიან საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

**რეინის კომისიაში.**

**ბერლინი.** 29 ნოემბერი. 15 კაცისაგან შემდგარ რეინის კომისიის და ოკუპაციით დაკავებულ ოლქების რეიხსტაგის დეპუტატების კონფერენციამ დაადგინა 15-ის კომისია გარდაიქმნეს აღმასრულებელ საბჭოთ 56 წევრის შემადგენლობით და უკანასკნელს დაეკისროს რეინის პარლამენტის ფუნქციები. საბჭოს წევრებს დანიშნავენ რეიხსტაგის და რეინის პროვინციის ლანდტაგის ფრაქციები. სოციალ-დემოკრატები სეპარატიზმის წინააღმდეგ პროტესტის სახით უარს აცხადებენ დირექტორიაში მონაწილეობის მიღებაზე—დირექტორიის შემადგენლობაში შედიან ცენტრის წარმომადგენლები—ადენგაუერი და კენიგი და სახალხო პარტიიდან მოლდენგაუერი.

კონფერენციაზე ადენგაუერმა მიაქცია გერმანიის მთავრობის ყურადღება იმ გარემოებას, რომ დროებით ფულის ნიშნების გამოშვების აკრძალვამ ოკუპაციით დაკავებულ ოლქების კომუნალურ დაწესებულებებს მოუსპო საშვალება შეიძინონ სურსათი მცხოვრებლებისათვის.

ცენტრის ფრაქციამ რეიხსტაგში შეიტანა შეკითხვა, გააუქმებს მთავრობა ამ აკრძალვას ოკუპაციით დაკავებულ ოლქებისთვის, თუ თვით უზრუნველჰყოფს ამ ოლქებს მტკიცე ვალიუტით და დასთანხმდება რეინის სავალიუტო ბანკის დაარსებაზე.

**გრენლანდიის საკითხი.**

**ქრისტიანია.** (ნორვეგია) ნორვეგიის სტორტინგმა ერთხმად დაადგინა დაიწყოს დანიასთან მოლაპარაკება გრენლანდიის საკითხზედ, რათა მიღწეული იქნეს ამ საკითხში საბოლოო შეთანხმება.

**რუსეთ-ფინეთის სავაჭრო ურთიერთობა.**

**ჰელსინგფორსი** (ფინეთი). გაზეთი „სოც.-დემოკრატი“ ააშკარავებს რეაქციონერებს, რომელნიც სცდილობენ ხელი შეუშალონ რუსეთ-ფინეთის სავაჭრო ურთიერთობას. იგონებს რა იმ კამპანიას, რომელსაც აწარმოებდა მემარჯვენე პრესა საბჭოთა რუსეთში შეშის შეტანის წინააღმდეგ, გაზეთი აღნიშნავს, რომ ეხლა იგივე მემარჯვენე პრესა, აგრარიების ზედგავლენით, აწარმოებს კამპანიას საბჭოთა პურის შემოტანისა და საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ. გაზეთი მოითხოვს დაუყოვნებლივ იყოს დადებული ხელ[illegible] იქნება საბჭოთა პურის განუსაზღვრელ რაოდენობით შემოტანა.

**საფრანგეთის ახალგაზრდათა კომკავშირის მოწოდება.**

**პარიზი.** შრომის სასპორტო ფედერაციის წინააღმდეგ მთავრობის რეპრესიების გაძლიერების გამო, საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის ცეკა თავის მოწოდებაში აცხადებს, რომ იგი სრულიად სოლიდარია ფედერაციასთან. ამასთანავე იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უფრო გაძლიერებული იქნება შეთანხმებული მუშაობა ანტი-მილიტარისტული პროტესტის კამპანიის ჩასატარებლად.

**იმპერატორის არქივი.**

**პარიზი.** 5 დეკემბრიდან გაზეთი „ჰუმანიტე“ დაიწყებს რუსეთის იმპერატორის არქივის საიდუმლო მასალების გამოქვეყნებას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის პრესის ნაწილს ინახავდა მეფის მთავრობა

**შარლ ჟიდის აზრი რუსეთში მოგზაურობაზე.**

**პარიზი.** რუსეთიდან დაბრუნებული საფრანგეთის ცნობილი ეკონომისტი შარლ ჟიდი, „ჰუმანიტეს“ თანამშრომელთან საუბარში, აღტაცებით ლაპარაკობდა თავის მოგზაურობაზე რუსეთში. ჟიდის სიტყვით, რუსეთში კოოპერაცია მეტად ვითარდება; კომუნისტები სასტიკად ადგანან პროლეტარიატის დიქტატურის გზას და განსაკუთრებით ზრუნავენ მშრომელთა ინტერესებზე, ცხოვრება ნორმალია. ჩერვონეცის მანეთი უფრო მტკიცეა, ვიდრე ფრანგული ფრანკი. სურსათში არავითარი ნაკლებობა არ არის, პირიქით, მნიშვნელოვანი ნაწილი გადის საზღვარ-გარედ. ბავშვებს მშვენივრად ინახავენ. წითელ-არმიელები მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენენ და სრულიად არ ჰგვანან იმპერიალისტური ქვეყნების ჯარის კაცებს.

ბურჟუაზიულმა პრესამ გადაბეჭდა ეს ინტერვიუ.

**„ლათინთა ბლოკი“**

**პარიზი.** (საფრანგეთი) პრესა, იხილავს რა ესპანეთის მეფის გამგზავრებას იტალიაში, შესაძლებლად სთვლის „ლათინთა ბლოკის“ დაარსებას, რომელშიაც შევლენ იტალია, ესპანეთი და სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკები და, რომელიც პირდაპირი საფრთხე იქნება საფრანგეთისათვის. ამ საშიშროების საწინააღმდეგოდ აღმოსავლეთ-ევროპის სააგენტოს დირექტორმა, ფილიუზმა წამოაყენა იდეა კონტინენტალი ევროპის შეთანხმებისა საფრანგეთ

სა, გერმანეთსა და ს. ს. რ. კავშირის შორის. ამასთანავე აღნიშნავს, რომ ასეთი კავშირი, რომელსაც ხელთ ექნება ინდოეთის სახმელეთო გზები, იძულებულს ჰყოფს ინგლისს წავიდეს დათმობაზე.

**ჟორესის ხსოვნის პატივცემის მანიფესტაციის აკრძალვა**

**პარიზი.** საფრანგეთის მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგას მოუკრძალა ჟორესის ხსოვნის აღსანიშნავად მანიფესტაციის გამართვა და ხსოვნის დაფასი გაკვრა იმ სახლის კედლეზედ, რომელშიაც მოკლული იყო ჟორესი.

**საფრანგეთისა და ს. ს. რ. კ. ურთიერთობა**

**პარიზი.** საფრანგეთის მსხვილი ფირმების წარმომადგენლეამა, რომლებიც ვაჭრობას ეწევიან ს. ს. რ. კავშირთან, დაადგინეს გაერთიანდნენ, რათა შეისწავლონ საფრანგეთისა და ს. ს. რ. კ. ეკონომიური ურთიერთობა და შესაფერ დონეზე დააყენონ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა რუსეთ-საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობის ილსადგენად.

**საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა.**

**პარიზი** სენატის კომისიის წევრები ვერ დააკმაყოფილა პუანკარეს განმარტებამ, რომელნიც გამოწვეული იყო შეკითხვით საგარეო პოლიტიკის შესახებ. სენატორი დ ესტურიერ დე კონსტანი განაგრძობს თავის შეკითხვას და აღნიშნავს საფრანგეთის პოლიტიკურ იზოლიაციის საშიშროებას.

**პარლამენტის არჩევნები ინგლისში.**

**ლონდონი.** „დეილი ექსპრესი“ მოუწოდებს ამომრჩევლებს ხმა მისცენ, არამაც თუ მარტო პროტექციონიზმსა და თავისუფალ ვაჭრობას, არამედ სოციალიზმის წინააღმდეგაც. „თუ, ამბობს გაზეთი, რომელიმე ბურჟუაზიულ კანდიდატს მცირე შანსები აქვს გასამარჯვებლად, აუცილებლად საჭიროა ხმა მივცეთ ამ კანდიდატს მუშათა პარტიის კანდიდატთან საბრძოლველად“.

ბურჟუაზიულ კანდიდატებიდან ყველაზე დიდ გამარჯვებას პოულობს ლოიდ-ჯორჯი, რომელიც 28 ნოემბერს გამოვიდა 14 მიტინგზედ და ყველგან აღფრთოვანებით დახვდა ხალხი. ლოიდ-ჯორჯი თავის გამოსვლების დროს სარგებლობს მიკროფონით, რომელიც საშუალებას აძლევს მისი სიტყვა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში სოისმინონ. მიკროფონის სარგებლობა ლოიდ-ჯორჯმა ისწავლა ამერიკაში.

ფართედ სარგებლობს მიკროფონს ბალდვინიც.

ლიბერალი კანდიდატები ასკვიტი და საიმონი უმთავრესად ლანკშირის სამრეწველო რაიონებში გამოდიან, ალბად, ლანკშირის კონსერვატორთა სიმპატიების მოპოების მიზნით.

ლიბერალ კანდიდატთა წინააღმდეგ გამოდიან, უმთავრესად, ლორდი დერბი და ერთი საუკეთესო ორატორთაგანი კონსერვატორებისა, ბერკენხედი, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზედ დასდევს ლოიდ-ჯორჯს და ყოველ კრებაზედ სიტყვას იწყებს მაშინვე, ლოიდ-ჯორჯის შემდეგ.

მუშათა კანდიდატებიდან უდიდესი გამარჯვებით სარგებლობს მაკდონალდი, რომელმაც განაცხადა, რომ მას არას დროს არ უნახავს ასეთი ენტუზიაზმი და ნდობა. მაკდონალდის სიტყვით, მუშათა პარტიის მანიფესტი ყველგან აღაფრთოვანებს მასებს.

ჩერჩილის გამოსვლებს წინანდებურად მტრულად ჰხვდებიან მუშები. ჩერჩილს რამდენჯერმე შეაწყვეტინეს უკანასკნელი სიტყვა, მაკდონალდისადმი მიმართულ მისალმებით და საყვედურებით ჩერჩილის პოლიტიკის გამო რუსეთის საკითხში. განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია ჩერჩილის განცხადებამ, რომ „საბჭოთა ბელადებმა გადაუხვიეს კომუნიზმის პრინციპს და ამისათვის ინგლისის მუშებს არ შეჰფერით ასეთი დიდი ფიქრი რუსეთზეო“.

**სამხრეთი სლავია და რუსეთი.**

**ვენა.** სერბეთის აგრარიების კავშირმა შეკითხვა შეიტანა საკუპჩინაში, რომელშიაც თხოულობს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მოგვაოებას

**საბერძნეთში არ არის რესპუბლიკა.**

**ვენა.** ცნობა საბერძნეთში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ არა მართლდება. საბერძნეთში ძლიერდება მოძრაობა ვენიზელოსის დაბრუნების სასარგებლოდ. ამ მიზნით განზრახულია გაიგზავნოს პარიზში უმთავრეს პოლიტიკურ პარტიების ლიდერთა დელეგაცია.

---

# საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

**ამხ კრასინის განცხადება**

**მოსკოვი.** 30 ნოემბერი. ამხ. კრასინმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ჩვენი სავაჭრო დამოკიდებულება იტალიასთან ამ უკანასკნელ დროის განმავლობაში შესამჩნევად გაცხოველდა. ჩვენ მივყიდეთ იტალიელებს პური, ნავთი და მთელი რიგი საბჭოთა ამიერ კავკასიის საქონლებისა.

ვითარდება ვაჭრობა აგრეთვე ნორვეგიასთან. ნორვეგიის სავაჭრო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი პურისადმი. ნორვეგიაში პურის გაყიდვის პირველი ცდა მოხდენილი იყო მიმდინარე წლის სექტემბერში. ჩვენ, შეკვეთის თანახმად, ნორვეგიაში გავგზავნეთ 10.000 ტონა პური. პური საუცხოო ღირსებისა აღმოჩნდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მივიღეთ უფრო დიდი შეკვეთა 45.000 ტონაზე, რომელიც ჩვენ აგრეთვე წარმატებით შევასრულეთ.

საერთოდ ჩვენი პურის საექსპორტო ოპერაციები წარმატებით ვითარდება. ევროპის ყველა ქვეყნებში დაარსებულია ფირმები, რომელნიც იღებენ საბჭოთა პურს და დიდის ქებით იხსენიებენ მის ღირსებას. ახლო აღმოსავლეთის. რომანთა ქვეყნის დი დიდი ბრიტანეთის ბაზრები მოითხოვენ განსაკუთრებით ხორბალს. სკანდინავიაში, ფინეთში, პრიბალტიკაში ჰოლანდიაში და გერმანიაში იგზავნება ჩვენი ჭვავი, რომელიც თანდათან იკავებს ამერიკის ჭვავის ადგილს. ზოგიერთ ქვეყნებში ვავის მიწოდება სავსებით ჩვენს ხელში გადმოდის.

წარმატებით დამთავრდა აგრეთვე ჩვენი გამოსვლა ოსმალეთში და საბერძნეთში, სადაც უკანასკნელ საჯარო ვაჭრობაში გამარჯვება ჩვენ დაგრჩა. ზოგიერთ შემთხვევებში ჩვენს პურში 2—3 პროც. მეტს აძლევენ, ვიდრე ამერიკის პურში.

ევროპის სავაჭრო წრეების [illegible] ინტერესი გამოიწვია რუსეთ-ინგლისის შერეულ საზოგადოების დაარსებამ ლონდონში [illegible] პურით ვაჭრობა. [illegible] სხვა ქვეყნებშიც. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში დადებული იქნება კიდევ რამდენიმე ანალოგიური ხელშეკრულება.

---

# ახალი ამბები

— **სრ. საბჭოს რესპუბლიკების მევენახე-მეღვინეთა ყრილობა.** 1924 წ. მარტის პირველ რიცხვებში მოსკოვში გაიმართება სრულიად საბჭოთა რესპუბლიკების მევენახეთა და მეღვინეთა წარმომადგენლების ყრილობა, საქართველოდგან გაგზავნილი იქნება 11 წარმომადგენელი. კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან, მიწ. მოკ. კომისარიატიდან და მევენახეთა საზოგადოებიდან.

— **წინასწარი თათბირი მევენახე-მეღვინეთა ყრილობისათვის.** 30 ნოემბერს შესდგა საქართველოს მევენახე მეღვინეთა წარმომადგენელთა თათბირი: თათბირმა წინასწარ იმსჯელა მომავალი სრ. საბჭოთა რესპუბლიკის მევენახე მეღვინეთა ყრილობის შესახებ და გამოუშვა ყრილობაზე დასასწრებლად სათანადო გეგმა.

— **წესის დამრღვევნი—მოხსნილი იქნებიან შრომის ბირჟიდგან.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა. ის უმუშევარნი, რომელნიც არღვევენ შრომის ბირჟის წესებს უმუშევართა სასადილოში მოხსნილი იქნებიან როგორც სასადილოდან ისე შრომის ბირჟის აღრიცხვიდან.

— **დავკარგე ტფ.** სახელმწ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა 1-ლი კურსის მსმენელმა წივოდიმოს ყუბანეიშვილმა, ვაცხადებ გაუქმებულად.

— **ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის სასარგებლოდ.** ორშაბათს 3 დეკემბერს ამხ. ჩოდრიშვილის, სახელობის კლუბის სასარგებლოდ, კომუნისტურ მეურნეობის კავშირის მიერ იმართება დიდი საღამო-წარმოდგენა.

— **შრომის ბირჟა.** 30 ნოემბერს შრომის ბირჟაში ახლად ჩაეწერა 43—უმუშ. სამუშაოზე გაიგზავნა 36—უმუშ. მოთხოვნილება იყო—71.

— **ცეკავშირში.** ცეკავშირის გამგეობაში პროფკავშირების წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ჯუღელი მის მოადგილეთ ამხ. პრეოსრაჟენსკი.

— **გლეხთა კომიტეტებისათვის.**-სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაავალა სრულიად რუსეთის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის რწმუნებულს საქართველოში ამხ. ხასკინის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებისათვის ჩამოუტანოს კომისარიატს მოსკოვიდან ყველა ის მასალები, რომელიც დაიბეჭდა და გამოიცა რუსეთში გლეხთა კომიტეტების მოწყობის და მუშაობის შესახებ. აგრეთვე ამხ. ხასკინის დაევალა რუსეთიდან ჩამოიტანოს მთავრობის ყველა დადგენილებები, რომლებიც გლეხთა კომიტეტებს ეხება და ანგარიშები იქ კომიტეტების საქმიანობის და მუშაობის შესახებ.

— **გლეხთა სახახლე ტფილისში.** სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა—ტფილისში გლეხთა სასახლის მოწყობა ცნობილი იქნეს აუცილებელ საჭიროებათ. ამ საქმის განსახორციელებლათ კომისიაში არჩეულია:

**ამხ. საბაშვილი (თავჯდომარეთ) კ. ხომერიკი, გ. სტურუა მამულია და ვარძიელი (წევრებათ).**

— **სტუდენტების სასარგებლოთ გამართული გასართობის საპროცენტო გადასახადიდან განთავისუფლება.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დადგინა ყველა ის გასართოპები, რომლებიც პროლეტარულ სტუდენტობის სასარგებლოთ გაიმართება განთავისუფლებული იქნენ საპროცენტო (პროც.) გადასახადიდან.

— **საბავშო თეატრის საზეიმო გახსნა.** 25 ნოემბერს ქართულ კლუბის დარბაზში დიდი ზეიმით გაიხსნა სოც. აღზ. მთავარ სამართველოსთან არსებული საბავშო თეატრის სეზონი დარბაზი გაჭედილი იყო პატარა ბავშებით, რომელნიც მოუთმენლათ მოელოდნენ ფარდის ახდას დასის რეჟისორმა ს. წერეთელმა წარმოდგენის წინ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა და აუხსნა ბავშვებს საბავშო თეატრის მნიშვნელობა შემდეგ წარმოდგენილი იქმნა ახალგაზრდა მსახიობთა დასის მიერ ნახუცრიშვილის პიესა „ნაცარქექია“ შემდეგი წარმოდგენა მომავალ კვირას, 9 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ნაკაშიძის პიესა „კოტეს დანაშაული“.

**შემთხვევები**

— **ბინის გაქურდვა.** 29 ნოემბერს ღამის 10 საათზე მცხ. საპიორის ქ. № 28 გაქურდული იქმნა მოქ. ბარისი ბახარიას ბინა, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ტანისამოსი ღირებული 6 მილიარდ მან.

— **თავის მოკვლა.** 29 ნოემბერს ღამის 11 საათზე კეცხოველის და ჯორჯიაშვილის კუთხეში

---

# გარდამავალი პერიოდი და ხელფასი

ხელფასის საკითხი პოლიტიკური ეკონომიის [illegible] საკითხის ირგვლივ ეკონომიური აზროვნების ისტორიის გასწვრივ სხვა და სხვა კონცეპცია შემუშავებულა, სხვა და სხვა თვალსაზრისი ჩამოყალიბებულა. ჩვენს მიზანს შეადგენს გამოვარკვიოთ ხელფასის საკითხის ადგილი, მისი სხვა და სხვაგვარი გადაწყვეტა და ის მდგომარეობა რომელიც შექმნილია ამ საკითხის ირგვლივ ეკონომიურ მეცნიერებაში. ჯერ კი საჭიროა წინასწარ განვმარტოდ ხელფასის ცნების რაობა.

ხელფასი წარმოადგენს ქირას, რომელსაც იღებს მუშა თავისი სამუშაო ენერგიის გაყიდვით. ხელფასი შეიძლება იყოს ნომინალური, ე. ი. ის რაოდენობა ფულისა, რომელსაც იღებს მუშა ქირის სახით და რეალური ე. ი. მოსახმარ საგანთა ის რაოდენობა, რომლის შეძენა შესაძლებელია ნომინალური ხელფასით.

ხელფასი ერთ ერთი სახეა საზოგადოებრივი შემოსავლისა კაპიტალისტური მეურნეობის დროს. კაპიტალისტი იღებს მოგებას, მიწის მფლობელი რენტას, მუშა კი ხელფასს. ამ სამ სახეობაში საზოგადოებრივ შემოსავლისა განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხელფასს. მეურნეობისათვის თავის თავად არ არის აუცილებელი არსებობა მოგებისა და რენტისა, მაგრამ აუცილებელია ხელფასის არსებობა, როგორც საშუალების, რომ მუშამ მიიღოს საკმაო რაოდენობა მოსახმარ საგნების და ამით შესძლოს არსებობის შენარჩუნება. მეურნეობისათვის არ არის საჭირო მოგებისა და რენტის გაღება, როგორც ხარჯის, ხოლო საჭიროა ხელფასის გაღება, ურომლისოდ შეუძლებელი იქნებოდა მეურნეობის არსებობაც.

აქედან ცხადია, რომ მოგება და რენტა ისტორიული კატეგორიაა სოციალური მეურნეობის, ხოლო ხელფასის, როგორც მუშათა შესანახი ხარჯი, ლოღიკური კატეგორიაა.

ხელფასის საკითხის ირგვლივ არსებობს სხვადასხვა თეორიები. მათ შორის უმთავრესია შემდეგი:

1. თეორია მუშათა ცხოვრების ჩვეულებრივი პირობებისა, (რკინის კანონის თეორია) 2. თეორია სამუშაო ქირის ფონდისა, 3. თეორია შრომის ნაყოფიერებისა.

განვიხილოთ ცალ ცალკე აღნიშნული თეორიები. მუშათა ცხოვრების ჩვეულებრივი პირობების თეორია (რკ. კანონის თეორია) გამოდის ტიურგოს, მალტუსის, რიკარდოს და ლასალის მოძღვრებიდან.

საერთოდ ეს თეორია გვეუბნება, რომ სამუშაო ძალის ფასეულობა განისაზღვრება მისი წარმოების სამუშაო ღირებულებით ე. ი. იმ პროდუქტთა რაოდენობით, რომელიც საჭიროა მუშის არსებობის შენარჩუნებისა და გვარის გაგრძელებისათვის.

ნახევრად ფიზიოკრატი ტიურგოს აზრით, ხელფასი ვერ გადასცდება მუშის საარსებო მინიმუმის საზღვარს. მაშასადამე მისწრაფება მუშების ხელფასის გადიდებისაგან სრულიად უნაყოფო შრომაა.

მალტუსმა, რომელმაც თავის სწავლით სოციალური პესიმიზმი უაღრესობამდი აიყვანა, ხელფასის საკითხშიაც გაატარა პესიმისტური აზრი. მისი აზრით სიღარიბის მიზეზი ბუნებრივი პროცესია. გამრავლება სარჩენის გეომეტრიულ პროგრესიით, ხოლო სარჩოსი არითმეტიკულად,—არის უმთავრესი პირობა სიღარიბის ზრდისა. ამ ბუნებრივ პროცესს ემორჩილება მუშათა ხელფასის განსაზღვრაც. თავის ცნობილ წიგნის („Опыт закона о народонаселении“) მესამე განყოფილებაში (წიგნი III) მალტუსი გვეუბნება, რომ ხელფასის მომატება პროდუქტებს ვერ გაამრავლებსო. მალტუსის აზრით თვით გამრავლების რეგულიაციას სარჩოს რაოდენობა ახდენს. არ შეიძლება მეტი სარჩენი იყოს, ვიდრე არის სარჩო. ეს ტრიუზმი საფუძველია მალტუსის დოქტრინის. რადგან გამრავლების პროცესის სიჩქარე ასწრებს საზრდოს წარმოშობის პროცესის სიჩქარეს, სიღარიბე ბუნებრივია. აქედან არის კონკურენცია მუშათა შორის და მისი შედეგი—მინიმალური ხელფასი.

ამიტომ მალტუსი დაასკვნის „იმ მიზეზთა გამო, რომელნიც განსაზღვრავენ მოსახლეობას და იწვევენ ადამიანთა რიცხვის ზრდას, ყველაზედ მცირე ხელფასი არასოდეს არ სდგას იმ ნორმის ზევით, რომელსაც ბუნება და ჩვეულება ამყარებს მუშათა შენახვისათვის“.

რიკარდოს აზრი დიდათ არ განსხვავდება მალტუსის აზრისაგან; ის გვეუბნება, რომ არსებობს „შრომის ბუნებრივი ფასი“, რომელიც განისაზღვრება საარსებო მინიმუმით. „ბუნებრივი ფასი შრომის არის ის ფასი, რომელიც აძლევს საერთოდ ყველა მუშებს საშუალებას არსებობისა და გვარის გაგრძობისას, მაგრამ ისე, რომ არც გადიდდეს და არც დამცირდეს“.

აქაც ჩვენ ვხედავთ, რომ საარსებო პირობები განსაზღვრავენ წარმოშობის რაოდენობას თუ არა, მცხოვრებთა რაოდენობას მაინც.

რიკარდოს აზრით შესაძლებელია მოიმატოს ნომინალურმა ხელფასმა, მაგრამ რეალი ხელფასი უცვლელი რჩება. კიდევ მეტი. „საზოგადოები[illegible] ხელფასი [illegible] მიხა[illegible] იმდენათ, რამდენათ იგი განისაზღვრ[illegible] მიწოდება-მოთხოვნით, რადგან მუშათა რიცხვი შეუწყვეტლად იმატებს შედარებით მეტი სიჩქარით, ვიდრე მოთხოვნილება მათზე“.

რიკარდოს პესიმიზმი თუ გადააჭარბებს მალტუსის პესიმიზმს თორემ უკან არ რჩება. როგორც მალტუსი, ისე რიკარდოც ხელფასის გადიდებისათვის გამოსავალს პოულობს ისევ და ისევ ქორწინებათა რიცხვის სიმცირეში, უკეთ რომ ვსთქვათ წარმოშობის სიმცირეში

როგორც ვიცით, რიკარდოს თვალსაზრისი ხელფასის შესახებ გამომდინარეობს მთელი მისი სისტემისაგან, რომლის მიხედვით რენტა იზრდება, ხელფასი მყარ მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო მოგება კაპიტალზედ ეცემა. ასეთია საერთოდ რიკარდოს თეორია საზოგადოებრივი შემოსავლის შესახებ, რომელშიაც საშური მდგომარეობა არ ეკუთვნის შემოსავლის ერთ სახეობას—ხელფასს.

ლასალმა საარსებო მინიმუმის თეორიას „რკინის კანონის“ თეორია უწოდა უნდა აღინიშნოს, რომ ლასალს ამ თეორიისათვის არ მიუცია რაიმე ახალი, მან მხოლოდ როგორც დიდებულმა მჭერმეტყველმა ლამაზი ფორმულა მოუნახა თეორიას და იგი საავიტაციო საშუალებად გამოიყენა. მას სურდა საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და საწარმოო ასოციაციების რეფორმის მიღწევა. ამიტომ საჭირო იყო „რკინის კანონის“ თეორია, რომელიც ერთი მხრით არც ბურჟუაზიას ამხედრებდა (რადგან ისინი არ გამოდიოდენ პირდაპირი დამნაშავენი მუშათა ექსპლოატაციაში ამ თეორიის მიხედვით) და მეორე მხრით საწარმოო ასოციაციებს მეტი ერთგულებით მოეპყრობოდა მუშათა კლასი.

აღნიშნული თეორიის წინააღმდეგ შესაძლებელია მოვიყვანოთ საკმაოდ სერიოზული მოსაზრებანი. უმთავრესი მოსაზრება შემდეგია. შეუძლებელია საარსებო მინიმუმის მკაცრი განსაზღვრა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფიზიოლოგიურ მინიმუმს, ე. ი. იმ რაოდენობას პროდუქტთა, რომელნიც საჭირო და აუცილებელია ადამიანის, როგორც ფიზიოლოგიური ორგანიზმის არსებობისათვის..

თუ მივიღებთ ფიზიოლოგიურ მინიმუმს, იმ შემთხვევაში თეორია ფაქტებს არ ეთანხმება. თეორია მაშინ მოითხოვს, რომ დაახლოვებით მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში ერთი და იგივე უნდა იყოს ხელფასის სიდიდე, რადგან დაახლოვებით ერთი იგივე რაოდენობა ნაყოფიერებისა არის საჭირო ადამიანის ორგანიზმის გამოსაკვებად. ფაქტები კი წინააღმდეგს მოგვითხრობს. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა სიმაღლეზედ სდგას ხელფასი. ადგილი აქვს [illegible] და დიდ სხვაობას სხვადასხვა ქვეყნის ხელფასის შორის. აქედან ლოღიკური აუცილებლობით ინგრევა თეორია. ის ვერ გვიხსნის არსებული ხელფასის განმსაზღვრელ ფაქტორებს.

ამ თეორიის დამცველნი, თავი რომ დააღწიონ ასეთ წინააღმდეგობას, იღებენ კულტურულ მინიმუმს. ე. ი. ისეთ მინიმუმს, რომელიც საჭიროა მუშის არსებისათვის არსებულ კულტურულ პირობებში და არსებულ საზოგადოებრივ სფეროში. აქედან დასკვნა შემდეგია. ხელფასი განისაზღვრება არა საარსებო მინიმუმით, არამედ მუშის ჩვეულებრივი ცხოვრების პირობები განსაზღვრავს ხელფასს. აქ თავიდან აცდენილია წინააღმდეგობა ფაქტებთან, მაგრამ იმდენად გაშლილია თეორიის ჩარჩოები, რომ იგი მოკლებული რჩება განსაზღვრულ შინაარს. ხელფასი ამ შემთხვევაში განიცდის დიდ უსწორ-მასწორობას დროსა და სივრცეში და არ არსებობს რაიმე განსაზღვრული კრიტერია მისი გაზომვისათვის. კიდევ მეტი. თუ შეიძლება იმ დებულების წამოყენება, რომ მუშის ჩვეულებრივი ცხოვრების პირობები განსაზღვრავს სამუშაო ხელფასს, ასეთივე საფუძვლიანობით (და შეიძლება მეტითაც) შეიძლება მისი უკუღმა შებრუნება, რომ ხელფასის სიდიდე განსაზღვრავს მუშის ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებს. გამოდის, რომ ასახსნელი უნდა ავხსნათ ასახსნელით, რაც განმარტებას ვერ გვაძლევს და უშინაარსო ფორმულად იქცევა.

რას გვეუბნება სამუშაო ხელფასის ფონდის თეორია? აღწევს თუ არა მიზანს იგი ხელფასის საკითხის გადაჭრაში?

ამ თეორიამ, რომელიც 30—40 წლებში შემუშავდა, დიდი გავრცელება მიიღო. ამ თეორიის უმთავრესი დებულებაა, რომ სამუშაო ძალა საქონელია. მისი ფასი იმავე ფაქტორებით განისაზღვრება, როგორც საერთოდ საქონლის ფასი. მიწოდება—მოთხოვნაა ხელფასის უმთავრესი რეგულიატორი. მოთხოვნა სამუშაო ძალაზედ, დამოკიდებულია კაპიტალის იმ ნაწილზედ, რომელიც გადადებულია ხელფასისთვის. აქედან ლოღიკურად დაასკვნიან—საშუალო ხელფასი უდრის ხელფასისათვის გადადებულ კაპიტალს გაყოფილს მუშათა რაოდენობაზედ.

ამ თეორიის დამაგვირგვინებელი და შემდეგ უარმყოფელიც დჟ. სტ. მილია. მოუსმინოთ მას.

„ამრიგად, ხელფასი უმთავრესად დამოკიდებულია შრომის მიწოდება-მოთხოვნაზედ, ან როგორც ხშირად ამბობენ მცხოვრებთა და კაპიტალის

თჯი მოიკლა რევოლვერით მოქ. მიხეილ შტეინბე-რგმა მიზეზი თავის მოკვლისა გამორკვეველია.

— ვალიუტის კურსი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 187.000 მ. | |
| სტერლინგი ეფექ. | 181,500 | „ |
| ჩეკი. | 181,500 | „ |
| დოლარი ეფექ. | 41,700 | „ |
| ჩეკი | 40,5000 | „ |
| ოსმალური ლირა | 22,5000 | „ |
| საბჭოთა ფული | 13,000 | „ |

## პარტიაში

კვირას, დეკემბრის 2 დილის 11 საათზე ცენტრალურ კლუბში დანიშნულია ტფილისის კომიტეტის პლენუმის მორიგი სხდომა.

პლენუმის წევრების დასწრება სავალდებულია.

**ტფილისის კომიტეტის მდივანი.**

ორშაბათს, დეკემბრის-3-ს საღამოს 6-საათზე პარტიულ ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია [illegible]ავარი კომიტეტის სხდომა. წევრების დასწრება სავალდებულოა.

**მდივანი.**

## ერთი საჭირბოროტო საკითხის შესახებ

მე არასდროს ბიბლიური სასწაული არ მჯეროდა და როგორც შემეძლო, ამ ჩემს აზრს კერძო საუბრის დროს იქნებოდა თუ ოფიციალურად გამოსვლით, ვამტკიცებდი და ვამბობდი, რომ ყოველივე ეს არის უბრალო ჭორი „სულიერი მამების“ მიერ მოგონილი და მეტი არაფერი მეთქი. რა თქმა უნდა ისეთი რაიმე გარდატეხა არ მომხდარა ჩემში, რომ ეს უკვე დიდი ხნით შეთვისებული შეხედულება ცრუ მორწმუნოებაზე, უარვყო და დავიჯერო დაუჯერებელი, მაგრამ მაინც უნდა გამოვტყდე და უნდა ვთქვა, რომ ბოლოს და ბოლოს რაიმე სასწაულის მოხდენა უფრო შესაძლებლად მიმაჩნია ვიდრე მასწავლებელთა ჯოჯოხეთური პირობების გაუმჯობესება, რომ მასწავლებლის მდგომარეობაზე წერა და ლაპარაკი ზედმეტია. ვინაიდან ამ საგანზე წერამ ბევრი მელანი დააშრო, აუარება ქაღალდი გააფუჭა და ურიცხვ ორატორთა ენა მოღალა და ყოველივე ამათ ჩაიარეს უშედეგოთ. ეს იქიდან სჩანს, რომ სიღარიბის და სილატაკის ჭაობში ჩაფლულ მასწავლებელთ ჩვენ კვლავ ვხედავთ ძველებურათ გაძვალტყავებულს და ქანც გამოლეულს. მაშ რაშია საქმე? რამ გამოიწვია ამ წერილის დაწერა? არავითარი სურვილი არ მქონდა ამ უკვე გაცვეთილ საკითხზე, რაიმე დამეწერა, მაგრამ 27 ნოემბრის „ზარია ვოსტოკამ“ კვლავ აღძრა ეს საკითხი და მოითხოვა უპატრონო მასწავლებლებზე ზრუნვა, მიუთითა ვისგანაც ჯერ არს, ის გზები და საშუალებები. საიდანაც შეიძლება მასწავლებელთა რიგიანათ დაკმაყოფილება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. უპირველეს ყოვლისა ამ ორგანოს უნდა წამოეყენებია კვლავ ეს საკითხი.

შეიძლება ზოგს ჰგონია, რომ ეხლა გაუმჯობესებულია მასწავლებელთა პირობები, მაგრამ მისი მთქმელი ან სრულიადაც ვერ იცნობს მასწავლებლობას ან და ამბობს განგებ. ამ სტრიქონების დამწერმა იცის ერთი 60 წლის მოხუცი მასწავლებელი, რომელსაც არ აცვია არც პერანგი და არც მისი ამხანაგი. ერთ რაიადგილკომს მოუვიდა რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი ღარიბეს მასწავლებელთათვის დასარიგებლად. ერთმა მოხუცმა ღარიბმა მასწავლებელმა წვრილი ცოლშვილის პატრონმა შემოიტანა განცხადება, რომ მას მისცემოდა ერთი წყვილი ფეხსაცმელი და როდესაც მას ეს ფეხსაცმელი არ ერგო და უარი უთხრეს, ერთ საათს ტიროდა და მის თვალს ცრემლი არ შეშრობია.

ეს ზღაპარი არ არის.

ეს არის მწარე სინამდვილე, რომელსაც დაადასტურებს ჩემს გარდა კიდევ სხვები. მე არ მგონია ტფილისში დარჩენილიყოს ისეთი მსწავლული რომ 27 ნოემბრის „ზარია ვოსტოკის“ ნომერი არ წაეკითხოთ. ყველა ერთი მეორეს ეუბნებოდენ, რომ ეს წერილი აუცილებლად ჰპოებს გამოძახილს და მივიწყებულ მასწავლებლობას აწი მაინც მიექცეს ყურადღება. ვათავებ რა ამ წერილს იმ სრული იმედით, რომ მუშათა და გლეხთა ნორჩი მოზარდი შვილების აღმზრდელნი და კულტურული საზრდოს მიმწოდებელნი არ დარჩებიან უყურადღებოთ და მიიღებენ იმდენს მაინც გასამჯელოდ რამდენსაც ღებულობს უბრალო კანტორშჩიკი ამა თუ იმ საბჭოთა დაწესებულებაში. საჭიროა დროზე, თავის დროზე მიექცეს ამ საკითხს ყურადღება.

**სოფლის შვილი.**

## ბიბლიოგრაფია

**კარლ მარქსი—სამუშაო ქირა, ფასი და მოგება.** თარგ. გერ. ქიქოძისა.

**ფრიდრიხ ენგელსი—ლუდვიგ ფეიერბახი.** თარგმანი მისივე.

**კარლ მარქსი—სამოქალაქო ომი საფრანგეთში.** თარგმანი რ. კალაძისა.

გამოცემანი სახელმწიფო გამომცემლობისა.

სამივე წიგნი ქართველ მკითხველ საზოგადოებისათვის ნაცნობი არის; ესენი ის პირველწყაროები არიან, რომლებითაც ჩვენი ახალთაობა მარქსიზმის ეკონომიურ, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მოძღვრებებს ეცნობოდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში, განსაკუთრებით დაბალი წრის მკითხველებში, მარქსისტული მოძღვრების დანერგვა უფრო ამგვარი წიგნაკებით სწარმოებდა, ვიდრე დოქტრინის მთლიანი დალაგებით.

წინამდებარე სამი წიგნაკი ამ მხრივ უთუოდ უმნიშვნელოვანესთაგანია; მათი ქართულ ენაზე თარგმნა, მეტად სასიამოვნო დაკმაყოფილებაა კარგა ხნის მოთხოვნილებისა.

„სამუშაო ქირა, ფასი და მოგება“ კარლ მარქსის მიერ ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს სხდომაზე წაკითხულ მოხსენებას წარმოადგენს. ის უმთავრესად საპოლემიკო მოხსენებაა ვესტონის წინააღმდეგ, რომელიც უმთავრესად წარმოების ფარგლების, სამუშაო ხელფასის და ფასის გარშემო სწარმოებს. მოხსენების პოლემიკური ხასიათი აქ სრულებით არ წარმოადგენს პოზიციური დალაგების ნაკლულევანებას და ჩვენ ვხედავთ თუ კ. მარქსი, როგორი ტეზისებით აძაგრებს იმ თავის მოძღვრებებს, რომელიც ასე ვრცლად და დასაბუთებულად არის წარდგენილი მისი „კაპიტალის“ ტომებში, განსაკუთრებით კი პირველსა და მესამეში.

ვ. ენგელსის წიგნი „ლიუდვიგ ფიერბიხი“, რომელსაც საყურადღებო წინასიტყვაობა უძღვის წინ გ. პლეხანოვისა, შტარკეს წიგნის განხილვას წარმოადგენს... შტარკეს წიგნი ეხებოდა ფეიერბახის ფილოსოფიის და გერმანულ ჟურნალ „ახალი დროს“ წინადადებით ენგელსმა იკისრა გაეხსენებია ადრიდანვე დასმული საკითხი მარქსიზმის დამოკიდებულებისა ჰეგელის ფილოსოფიისადმი და ამ საკითხს უძღვნა ეს წიგნაკი.

ორთავე წიგნის თარგმანი გერონტი ქიქოძეს ეკუთვნის. თარგმანის საერთო სტილის მოხდენილება ვერ აქარწყლებს იმ დეფექტებს, რომელიც ტერმინების თარგმანში გვხვდება აქა იქ. ამ მხრივ ყველაზე დაუშვებლად მიგვაჩნია ჩვე vert, ценность-ის თარგმნა ღირებულებად. ამ ტერმინის გარშემო ატეხილ დავის გაიახლებისათვის აქ არც დრო და არც ადგილი არ არის. [illegible] ორი ეკონომიური ტერმინი, vert (ценность) და Cost (стоимость) ერთმანეთისაგან [illegible] ჩეული უნდა იქნენ, რადგან თითოეულ მათგანს თავისი შინაარსი აქვს. რუსეთის თარგმანითმა ლიტერატურამ ამ ორი გერმანული ტერმინის თარგმნა ისე, როგორც ზევით მოხსენებული არის, უკვე შეითვისა. ნ. ბუხარინიც თავის უკანასკნელ შრომაში ამ გზას დაადგა, წინააღმდეგ ზოგიერთ რუს მარქსისტებისა. ქართულ ენასაც შესაფერი ტერმინები მოეპოება: **ფასეულობა და ღირებულობა** და ამიტომ უკანასკნელის ხმარება პირველის მაგივრად დღეს დაუშვებლად მიგვაჩნია. ჩვენი საუნივერსიტეტო პრაქტიკის მიერაც ეს საკითხი ზემოხსენებულად არის გადაჭრილი. ამას გარდა „плата“ ნაცვლად ქირისა შესაძლებელი იყო უფრო სპეციალური, შესაფერი ქართულით გადმოთარგმნილებს სამუშაო ქირის მაგივრად „სამუშაო ხელფასი“ გვეხმარა. არის აგრეთვე ისეთი არც მთლად მოხდენილი გამოთქმები, როგორიცაა „შენივთებული“.

„სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს თანამედროვე ეპოქისათვის; აქ 1870—71 წლების საფრანგეთის ცოცხალ მაგალითზე მოცემული არის მარქსის ანალიზი იმ პოლიტიკური ამბების შესახებ, რომელიც ამ წლებთან არის დაკავშირებული (და საყოველთაოდ ცნობილია პარიზის კომუნის სახელწოდებით. მკითხველი აქ მრავალ ისეთ რასმეს იპოვის, რაც გლახათა თანამედროვე ბრძოლის გასაგებად და ასახსნელად იქნება გამოსაყენებელი. 1871 წლის ეპოქა კლასიკური პერიოდია რევოლიუციის ისტორიაში და შეუძლებელი არის ამ ისტორიის და თანამედროვე ბრძოლის ძირითადი მიზეზებისა და ბუნების გარკვევა გარეშე მისი გათვალისწინებისა.

თარგმანი ადგილ-ადგილ მძიმეა და აშკარა ნიშანი აქვს იმ ენის წინადადებათა კონსტრუქციისა, რომლიდანაც ის არის თარგმნილი. სამაგიეროდ მრავალ სამაგიერო შესაფერად თარგმნილ რთულ წინადადებებსაც შეხვდებით, რომელნიც თარგმნის ხასიათს აქარწყლებენ.

წიგნები გარეგნულად ლამაზადაა გამოცემული: დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და სუფთა შრიფტით; კორექტურული შეცდომები თითქმის სავსებით აცილებულია.

**ი.—ე.**

---

პროპორციაზედ. მცხოვრებლებში აქ იგულისხმება მხოლოდ იმ პირთა რიცხვი, რომელნიც მუშათა კლასს შეადგენენ, ან უკეთ ისინი, რომელნიც მუშაობენ როგორც დაქირავებულნი; ხოლო კაპიტალში იგულისხმება არა საბრუნავი კაპიტალი და აგრეთვე მთელი მისი ჯამი, არამედ ის ნაწილი, რომელიც იხარჯება პირდაპირ შრომის ყიდვისათვის“. *)

როგორ ხდება ხელფასის სიდიდის ცვალებადობა. ჯ. სტ. მილი ამის შესახებ გვეუბნება შემდეგს: „ხელფასი (ჩვენ ვგულისხმობთ მასში მის საერთო ოდნობას) შეიძლება გადიდდეს მხოლოდ, როგორც შედეგი მთელი ფონდის გადიდებისა, რომელიც იხარჯება მუშათა დასაქირავებლად, ან და როგორც შედეგი იმ პირთა რიცხვისა შემცირებისა, რომელნიც ურთიერთშორის ეწევიან კონკურენციას შრომის მიწოდებისთვის: დაცემა მისი (ხელფასის ს. ა.) ხდება მხოლოდ ან ფონდის შემცირებით, ან მუშათა რიცხვის გადიდება, რომელნიც იღებენ ხელფასს“. **)

კიდევ უფროდ მკაფიოდ გვეუბნება ეს ავტორი ქვემოთ „ამ რიგად ხელფასი დამოკიდებულია იმ პროპორციაზედ, რომელიც არსებობს მცხოვრებ მუშათა და იმ კაპიტალს შორის, რომელიც გადადებულია შრომის საყიდლად“. * *)

ამ თეორიას აქვს საკმაო შეცდომები. იგი ანგარიშს არ უწევს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ციკლს, რომელიც აღორძინებიდან კრიზისებისაკენ მიეშურება და პირუკუ. ამ შემთხვევაში სულ სხვა სახეს იღებს მუშათა ხელფასი. კაპიტალი დიდია კრიზისების დროს, მაგრამ წარმოება ეცემა ზედმეტი პროდუქტების დაგროვებას გამო, რომელიც ბაზარს ვერ პოულობს. ასეთ პირობებში უმუშევრობა მეფობს, ხელფასი ეცემა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს თეორია შრომასა და კაპიტალს დამოუკიდებლად იხილავს ერთმანეთისაგან. სინამდვილეში კი ეს ორი მოვლენა პარალელურად ვითარდება. შრომა ჰქმნის კაპიტალს თვით წარმოების პროცესში, კაპიტალი არ არის დაშორებული ამ პროცესისაგან. იგი არ არის ერთხელ განსაზღვრული, რომელიც იყოფოდეს მუშათა რიცხვზედ და აწესებდეს ხელფასის ოდნობას: ეს ფონდი კაპიტალისა, რომლის შესახებ გვეუბნება აღნიშნული თეორია, სხვა არა არის რა თუ არა მუშისაგან შექმნილი ფონდი წარმოების პროცესში.

ამ რიგად ეს თეორია ვერავითარ შემთხვევაში ვერ უძლებს კრიტიკას. ეკონომიურმა მეცნიერებმა იგი უკვე დატოვა, მას შემდეგ როდესაც თვით მისმა ერთერთმა ავტორმა ჯ. სტ. მილმა ის უარყო.

ეს თეორია მართალი რომ იყოს სოციალური პოლიტიკისათვის მას ექნებოდა გადამჭრელი მნიშვნელობა. მუშებს ხელი უნდა აეღოთ ხელფასის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაზედ, რამდენადაც ამ ბრძოლიდანიარ შეიქმნებოდა „კაპიტალის ფონდი“ ხოლო გარეშე ამისა, ამ თეორიის მიხედვით, არავითარ ძალას არ შესწევს უნარი ხელფასის გადიდებისა. ამ შემთხვევაში მუშათა გაფიცვებს, პროფკავშირთა ცდებსა და სხ. არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა ხელფასის გადიდებისათვის.

მართლაც ამ თეორიით ერთ დროს შეარაღდა ინგლისის ბურჟუაზია მუშების წინააღდეგ, რომელმაც „მეცნიერულად“ დაიწყო დამტკიცება, რომ ხელფასის გადიდება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ნაციონალური კაპიტალი გაიზრდებაო, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა მოძრაობას არაფერი არ შეუძლიაო.

ამ თეორიის გარდა არსებობს ეგ. წოდებული თეორია შრომის ნაყოფიერებისა. ამ თეორიის ჩანასახებს ხვდებით პოლიტიკური ეკონომიის მამათმთავრად წოდებულ ად. სმიტის მოძღვრებაში. მე-19 საუკუნის დასაწყისში სენიორი შეეცადა მის დასაბუთებას, შემდეგ ინგლისელი ბრასეი, ამერიკელი უოკერი და შენგოფა და ფრანგი ლერუა—ბოლიე.

მოუსმინოთ ად. სმიტს. ის გვეუბნება, რომ როდესაც მუშა ხელი მატულობს პროგრესიულად, მათ შორის იმართება კონკურენცია.

ასეთ პირობებში ხელფასის გადიდებაზე ფიქრი ოცნებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუშა-ხელის ნაკლებობის დროს კონკურენცია ხდება არა მუშათა, დაქირავებულთა, და დასაქირავებელთა შორის, არამედ კაპიტალისტთა, დამქირავებელთა შორის, რომელნიც ცდილობენ ხელფასის გადიდებით თავისკენ მიიზიდონ მუშები. ამ შემთხვევაში ხელფასიც დიდდება.

აქედან ად. სმიტს გამოყავს შემდეგი: მუშახელის მოთხოვნილება მაშინ იქნება, როდესაც კაპიტალი იზრდება და მას შეუძლია ახალი შრომის გამოყენება და მისი შენახვა. მაშასადამე ფასის რაოდენობა იზრდება კაპიტალის ზრდასთან ერთად (ამ შემთხვევაში იზრდება ხელფასით მცხოვრებთა რიცხვიც, რადგან მეტ რიცხვს დაქირავებულთა იყენებს კაპიტალი) წინააღმდეგ შემთხვევაში, კაპიტალის შემცირების მიხედვით მცირდება ხელფასიც (ამ შემთხვევაში მცირდება დაქირავებულთა საერთო რიცხვი, რადგან კაპიტალს არ შეუძლია სამუშაო ენერგიის მრავლად გამოყენება).

ამასთანავე ხელფასის რაოდენობა მატულობს იმ ქვეყნებში, სადაც იგი უკვე ერთ წერტილზეა გაყინული. მაგ. ინგლისი უფრო მდიდარი ქვეყანაა, ვიდრე ამერიკა, მაგრამ ხელფასი ამერიკაში უფრო დიდია ვიდრე ინგლისში, რადგან იქ კაპიტალი მეტი ინტენსიობით იზრდება, ხოლო ინგლისში კი ერთ დონეზედ სდგას უმთავრესად. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ თუ მცხოვრებთა ზრდას კაპიტალის ზრდა არ მოყვა ცხადია მუშა ხელის გამოყენებას ადგილი არ ექნება და შესაძლებელია დაქირავებულთა კონკურენციის ნიადაგზე ხელფასის დაკლებაც მოხდეს.

ხელფასის სიმცირე და მუშათა კონკურენცია, რომელიც პროგრესიულად ხელს უწყობს ხელფასის დაცემას, იწვევს მუშათა წრეებში არსებობის საშუალებათა ნაკლებობას, რასაც მოყვება მუშების ფიზიკური განადგურება, რომელიც თავისი მხრივ ამცირებს სამუშაო ენერგიის რაოდენობას.

ამ შემთხვევაში მოთხოვნილება შრომისა იწევს, რაც ხელს უწყობს დამქირავებელთა კონკურენციას და ხელფასის გადიდებას. მაგრამ ხელფასის რაოდენობა და სიდიდე არ აიხსნება მარტო მიწოდება-მოთხოვნილების კანონით. ხელფასი დიდ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში გაცილებით დიდია, ვიდრე პატარა ქალაქებში და ჩამორჩენილ კუთხეებში. ამავე დროს არსებობისათვის აუცილებელ საშუალებათა ფასის ცვალებადობასთანაც არ ხდება ხელფასის ცვალებადობა. ყოველივე ეს გვეუბნება, რომ ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია არა რომელიმე ერთ ფაქტორზედ, არამედ მრავალ მიზეზებზედ, რომელნიც ამა თუ იმ გავლენას ახდენენ ხელფასის ცვალებადობის პროცესში.

სიღარიბე, რომელიც გამოწვეულია მუშათა კლასში ხელფასის სიმცირის ნიადაგზე, იწვევს ქორწინების შემცირებას და მის ლოღიკურ შედეგს მშობიარობის იშვიათობას. მაგრამ ხშირად საწინააღმდეგო მოვლენებსაც ადგილი აქვს. შოტლანდიის ნახევრად მშიერ ქალს ხშირად ჰყავს 20-მდე ბავში, მაშინ, როდესაც ბურჟუაზიულსა და არისტოკრატიულ წრეებში მშობიარობა ნაკლებად ხდება და საშუალოდ იძლევა 2—3 ნაყოფს. მაგრამ სიღარიბეს მეორე მხრივ, ბავშთა მოვლა-პატრონობის მხრივ, აქვს დიდი გავლენა. შოტლანდიის მთიან ადგილებში, სადაც 20-მდე ბავში ყოლია დედას, ხშირად მხოლოდ ორი შერჩენია ცოცხალი, სიღარიბისა გამო. ასე რომ ხალხის ფიზიკურ კეთილდღეობაზედ სიღარიბეს, რომელიც ხელფასის სიმცირით არის გამოწვეული მეტად დიდი უარყოფითი შედეგები მოაქვს. უხვი დაჯილდოება შრომისათვის, რომელიც შეადგენს ხალხის კეთილდღეობის რეზულტატს, ხდება მიზეზი აგრეთვე მისი გამრავლებისა *) გვეუბნება ად. სმიტი.

ამასთანავე ხელფასის სიდიდეს გავლენა აქვს შრომის ნაყოფიერებაზედ. დაქირავებულს საშუალება ეძლევა აღადგინოს დახარჯული სამუშაო ენერგია და მეტი ინტენსივობით წარმართოს მომავალი შრომის ნაყოფიერება.

ბუნებრივია, რომ მუშა უფრო მეტს იმუშავებს თავის სასარგებლოდ, ვიდრე დამქირავებლის სასარგებლოდ. ეს მოხდება მაშინ, როდესაც მუშას შესაფერად აუნაზღაურდება ხელფასი.

ამასთანავე მოსავლიან წელიწადში დაქირავებულთა რიცხვი კლებულობს, რაც შედეგია არსებობის საშუალებათა ადვილად მოპოებისა და საკუთარი—დამოუკიდებული შრომით არსებობის შესაძლეობისა. შიმშილიან წელიწადში კი მუშა ხელის რაოდენობა იმატებს, რადგან უკიდურესი გასაჭირი აიძულებს მუშებს აუცილებლად გაყიდონ თავისი სამუშაო ენერგია თუ გინდ ძალიან მცირე ხელფასის მიღებისათვის.

ად. სმიტი გვაძლევს შემდეგ განმარტებას ხელფასის სიდიდის შესახებ „შრომის ქირა ფულით აუცილებლად განისაზღვრება ორი გარემოებით: მოთხოვნილებით შრომაზედ და ფასით ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო საგნებზედ.**)

ავტორის აზრით ამასთანავე მოსავლიან წლებში, როდესაც დამქირავებლებს უგროვდება ახალი კაპიტალი ისინი ადიდებენ ხელფასს, რომ შეაგროვონ მუშათა საჭირო რაოდენობა. ამ შემთხვევაში კაპიტალის სიდიდე ადიდებს ხელფასს. სიმშილობის დროს კი, კაპიტალი იკლებს და მას არ შეუძლია მუშათა დიდი რაოდენობის გამოყენება და მისი შენახვა.

ასეთია ად. სმიტის შეხედულება. მისი აზრით კაპიტალის ზრდა, მისი დაგროვება იწვევს მუშათა ხელფასის ზრდასაც. ად. სმიტი ოპტიმისტური თვალით იხილავს კაპიტალიზმის განვითარებას.

რა სურათები მოგვცა შემდეგმა ხანამ? გაამართლა თუ არა ად. სმიტის იმედები?

**სერ. ახალლობელი.**

*) Дж. Ст Милль »Основания пол. Экономии». ст. 304.

**) ibid გვ. 304.

***) ibid—310.

*) Ад. Смить. „Богатства пародов“ стр. 224.

**) Ад. Смит „Богатство пародов“ стр. 230.

# კორესპონდენცია

### ქ. სამტრედია

სამტრედიას დასავლეთ საქართველოში ვაჭრობა მრეწველობით კარგი ადგილი უჭირავს. რაც შეეხება სამტრედიას პატარა ქალაქის პირობაზე კარგი მოწყობილია.

სამტრედიაში ამ ჟამად არსებობს ორი სამკითხველო: ერთი ცენტრში, ხოლო მეორე ოქტომბრის რევოლიუციის მოედანთან. პირველი სამკითხველოს არა უშ·ვს ჟრრნალ-გაზეთები საკმაოდ მოდის.

რაც შეეხება ლიტერატურულ გაზეთებს არც ერთი არ მოდის, სამტრედიაში ბევრი ახალ·გაზრდობა დადის, რომლებსაც, არა აქვთ შეძლება გაზეთის ყიდვის და ვერც კითხულობენ. კარგი იქნება რომ ყურადღებას მიაქცევდეს, ვისგანაც ჯერ არს. რაც შეეხება წიგნებს, სამკ·თხველო ვერ სდგას თავის დონეზე. აქ რუსული წიგნები სჭარბობს. ქართული წიგნები ძალიან ცოტაა და ისიც ვერ არის კარგი წიგნები. აქ ინახება ძველი ჟურნალ-გაზეთები. გაზეთები დღემდე კარგად არი შენახული, ხოლო ჟურნალები სულ დაფხრეწილია, თუ რაიმე კარგი სურათები ყოფილა შიგ ყველანი ამოხეულია.

მეორე სამკითხველო, რომელიც არის ოქტომბრის რევოლიუციის მოედანთან, ყოველ დღე დაკეტილია, ერხელ მაინც რომ მენახა ლიათ ორი წლის განმავლობაში, კიდე კარგი იყო.

როგორც გადმოცემიდან გავიგე ყოფილა იქ დიდ-ძალი ქართულ-რუსული წიგნები, მაგრამ რათ გვინდა თუ ვერ წავიკითხავთ, რათ გვინდა თუ ვერ გამოვიყენებთ.

კარგი იქნება რომ ქ.·სამტრედიის აღმასრულებელი კომიტეტი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს ამ სამკითხველოს. ან გახსნან ადგილობრივად სამკითხველო, გამოუწეროს ჟურნალ-გაზეთობა და ან შეუერთოს ქალაქის სამკითხველოს, რომელსაც ყავს გამგე, მოდის ჟურნალ-გაზეთობა და სხვა.

**ანდრ რონელი.**

---

### სამტრედიის რკ. გზის მუშათა თეატრი

შაბათს, 24 ნოემბერს, ახალგაზრდათა სექციამ საქველ-მოქმედო მიზნით გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „მეუფესა ღმერთსა ვესროლოთ ზალპით“ და „ვაი ყობოს“. პირველი პიესა ეკუთვნის რუს ავტორს მილნიცს, რომელიც იყო გადმოთარგმნილი ალ. კორძაიას მიერ. უნდა ვსთქვა რომ პიესა სრულიად უშინაარსო იყო საკვირველია რათ გასწია შრომა მთარგმნელმა და ან ქაღალდი რათ გააფუჭა მისთვის, თუ ფიქრობდა კარგი სათაური აქვსო, შემცდარი აზრია. სათაური კი არა შინაარსი, უნდა იყოს კარგი.

ეხლა შეუდგები შეფასებას, თუ ვინ როგორ თამაშობდა. შედარებით კარგათ თამაშობდა ი. ტორონჯაძე სუსტი იყო (გეგიას ასული). აგრეთვე სუსტი იყო მღვდლებიც (ცავურია და კალაძე). უნდა ვსთქვა, რომ არც ერთმა მათგანმა სახეირ·თ როლი არ იცოდა; ეს კი დაუშვებელია, მით უმეტეს მაშინ, როცა პიესა ძლიერ სუსტი შინაარსისა.

მეორე პიესა „ვაი ყობოს“ ესეც უშინაარსო იყო. მეტად მოუხეშავად თამაშობდა ქმრის როლში ა. რუხაძე. მათთან შედარებით კარგად ითამაშა ცოლის როლი დევიძე ყობო. გარეგანი ჩაცმა-დახურვით კარგად იყო მორთული მაგრამ ებრაული კილო სრულიად არ იყო დაცული. მოსამსახურის როლში, რომელსაც თამაშობდა ი. ტორონჯაძე საუბედუროთ არც იმერელს გავდა, არც კახელს და არც ქართლელს. უნდა ვსთქვა, რომ შეუძლებელია ეგრე ხელოვნების დამახინჯება. ნუ დავივიწყებთ რომ მეოცე საუკუნეა. აგრეთვე უნდა აღვნიშნო, რომ ხსენებულ თეატრში გასულ წლებში ხშირად იმართებოდა, ეგრეთ წოდებულ მოცლილ ხალხის „ტანცაობა“ მის შემდეგ როცა წარმოდგენა თავდებოდა, ამავე ღამესაც გაიმეორეს ეს მაგალითი, რომელიც დაუშვებელია. თუ მოეწყობა განსაკუთრებით საცეკვაო საღამო ეს შესაძლებელია, ხოლო წარმოდგენის შემდეგ შეუძლებელია. თეატრში ყოველთვის სავსებით ბავშვები 5—6 წლისა, რომლებიც წესიერებას არღვევ·ნ· საჭიროა თეატრის გამგეობამ თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. მუშათა თეატრი უნდა გავდეს თეატრს და არა ცირკს.

**ანდრ.**

# ხელოვნება

### ქართული ოპერის ბედი.

ბევრია ისეთი რამ, რისი გამეორებაც სიტყვიერად, თუ წერილობით მეტი არასოდეს იქმნება. ასეთია ქართული ოპერის ბედიც. ქართული ოპერა ბევრს ჰგონია მხოლოდ ქართული ორიგინალი ოპერა. ჩვენთვის ვაგნერის ოპერებიც ქართულად შესრულებული ქართულად ჩასათვლელია, როგორც აქაური სახელმწიფო ოპერა რუსულია, თუმცა მის რეპერტუარში რუსული ორიგინალი ოპერა მესამედიც არ იქმნება.

აი ამ თარგმნილი ქართული ოპერის შემოღებისთვის, უკეთესია ვსთქვათ, სახელმწიფო ოპერის გაეროვნებისათვის რამდენი კალამი და შრომა გასცვდა, რამდენი ქაღალდი და მელან-წამალი დაიხარჯა, მაგრამ არაფერი ეშველა; იმავ დროს კი გაეროვნება სახელმწიფო სხვა ყოველ დაწესებულებას დაეტყო. ძახილი, ყვირილი, მუდარა, მუქარა ყოველნაირი თქმა დარჩა უდაბნოში მღაღადებლის ხმად დემონი და ხევისბერი ღ·ლაქი დაიდგა ქართულად თითოჯერ წინა სეზონებში და ის იყო. მეორედ მათი ქართულად დადგმა ქართველ პროლეტარიატს არ უნახავს. ძველი რეჟიმის დროს კი, როცა ქართული ოპერა, რა საკვირველია არა სახელმწიფო, თუ აკრძალული არა, სასურველი მაინც არ იყო, ქართული ფილარმონიული საზოგადოების თაოსნობით ქართული საოპერო საქმე ისე განვითარდა, რომ ზემო ხსენებულ ოპერებს გარდა დაიდგა აგრეთვე ფაუსტი, კარმენ, ტრავიატა, რიგოლეტო და სხვა. მაგრამ კარგად დაყენებული საქმე ინტრიგის წყალობით დაიღუპა. ქართველმა მუსიკოსებმა ეს ამბავი იციან და კარგი იქნება გამოაქვეყნონ, რომ სახალხო საქმის მოღალატე სამარცხვინო ბოძზე გაიკრას

დღეს ქართველი პროლეტარიატი, რომელმაც მხოლოდ ქართული იცის, ჩაყენებულია ისეთ მდგომარეობაში, რომ მარტო მუსიკას უნდა უგდოს ყური, რადგანაც უცხო გაუგებარი ენით შესრულებული სიმღერა მის სულსა და გულს არ სწვდება, მაშასადამე ვერც ეზიარება სარგებლობას, რომელიც მოაქვს ოპერას, როგორც სალიტერატურო ნაწარმოებსა.

ყურადღებას დღესაც არავინ აქცევს წამოყენებულ საკითხსა. პირიქით, თუ **ზარია ვოსტოკა** გაზეთს (ნოემბრის 26) დაუჯერეთ, ქართული ოპერები ყველა უნდა ითარგმნოს რუსულად და ამავ სეზონში დაიდგას აქაური სახელმწიფო ოპერის სცენაზე. ასეთი ინფორმაცია უტყუარად ჰმოწმობს ინფორმატორის ზრუნვას, რომ ზოგიერთ გადაგვარებულ ქართველს და ტფილისის არა ქართველ საზოგადოებას, რომელსაც ქართული არ ესმის, ყურთა სმენა დაუტკბოს რუსულად შესრულებული ქართულ ოპერების მოსმენინებით. მაგრამ ვინღაა მზრუნველი მისთვის, რომ რუსული ენის უცოდინარი მშრომელთა კლასის ესთეტიური განვითარების საქმე თავს იდოს?

იცის თუ არა ეს ამბავი უმთავრესმა სახელოვნო კომიტეტმა, რა გარემოებამ გამოიწვია ასეთი შეტრიალება საოპერო საქმისა და როგორია მისი მოქმედების გეგმა ამ სეზონისათვის ევროპული ოპერების დასადგმელად ქართულ სცენაზე?

დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველი მშრომელი ხალხის ეროვნულ კულტურული განვითარების ბედი მაშინაც უზრუნველყოფილ იქნება, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის განათლების სახალხო კომისარიატი გაერთიანდეს.

**პეტრე მირიანიშვილი.**

---

**ხელოვანთა სახახლეში.** დღეს, 2 დეკემბერს, ხელოვანთა სასახლეში· გაიმართება საჯარო სხდომა. მოხსენებას წაიკითხავენ: გ. რობაქიძე და პროფ·რაზმაძე. თემა ეხება ალბერტ ეინშტეინს.

---

**ემილ ვერხარნი ქართულად.** პ. იაშვილმა ფრანგულიდან ქართულად გადმოთარგმნა ემილ ვერხარნის ლექსები, რომლებსაც ცალკე წიგნად გამოსცემს სახელმწიფო გამომცემლობა.

---

**„ჩირაღდანი“.** დღეიდან გამოვა გაზეთ „კომუნისტი“-ს ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“ რომელშიაც მოთავსებულ იქნება პროლეტარულ მწერლობისა და პოეტების შემოქმედება დამატება იქნება ორკვირეული.

---

—**·პროლეტარულ პოეტების ანტოლოგია.** პროლეტარულ მწერალთა კავშირს განზრახვა აქვს იანვრიდან გამოს პროლეტარულ პოეტების ანტოლოგია, შიგ შეტანილი მწერალთა მოკლე ბიოგრაფიით და პორტრეტებით.

---

### ქუთაისის მუსიკალური ქრონიკა

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ რესპუბლიკის მთავრობა, სცნობს რა მუსიკის მნიშვნელობას საერთოდ, სახალხო კულტურის განვითარების საქმეში, შესაფერის ზომებს ღებულობს ამ მიმართულებით. ერთ-ერთ ზომად, რომელნიც მიღებულია მთავრობის მიერ, უნდა ვსცნოთ მუსიკალ განათლების დაფუძნება იქ, სადაც წინად არ იყო სრულიად, და ამავე მუსიკალ განათლების მაღალ დონეზე აყვანა და განვითარება იქ, სადაც წინად იყო მისი ჩანასახი.

ასეთი რადიკალური ზომები მიიღო სახალხო განათლების კომისარიატმა მუსიკალ განათლების გაფართოებისა და ყოველ მხრივ განვითარებისათვის დასავლეთ საქართველოს ცენტრში—ქუთაისში, მუშაობა სწარმოებს ფართო მასშტაბით. წინათ ქუთაისში არსებობდა მუსიკალი სასწავლებელი, მაგრამ ამ სასწავლებლის მოქმედება სრულიად არ იყო ცნობილი, რადგანაც ამ მოქმედებაში არ იყო ჩაბმული არც ერთი ცნობილი მუსიკოსი, ამ უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ, რაც ამ სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა რესპუბლიკის „მუზო“-ს თავმჯდომარე მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძე, ქუთაისის სასწავლებელი გამოცოცხლდა და ეხლა, ბალანჩივაძის მუყაითობის წყალობით, მუსიკალი განათლების საქმე ქუთაისში სწორე და პროდუქტიულ გზაზედ არის დაყენებული. ასეთივე სწორ გზაზედ არის დაყენებული ქუთაისში საერთოდ მუსიკალი კულტურაც.

ქუთაისშივე გაიხსნა მუსიკალური ტეხნიკუმი, რომელსაც სათავეში უდგას ყოფილი ტფილისის მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიის ინსპექტორი, კავკასიაში ცნობილი მუსიკალი მოღვაწე ილია აბაშიძე, ილია აბაშიძემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი მისთვის მინდობილ საქმეს, მიიწვია და წაიყვანა ქუთაისში ცნობილი ახალგაზრდა მუსიკოსები. მიწვეულ მასწავლებლებიდან უნდა აღინიშნენ ელენე პსაროვი რომელმაც წარსულს გაზაფხულზე დაამთავრა ტფილისის კონსერვატორიაში ფორტეპიანოზე დაკვრის კურსი პროფესორ აისბერგის კლასში; სკრიპკის კლასში მოწვეულია სარატოვის კონსერვატორია დამთავრებული გრიგორი კერმაზინსკი. იგივე ხელმძღვანელობს ტეხნიკუმში თეორეტიულ კლასს.

ამ ჟამად კარმაზინსკი მუშაობს ჰარმონიის სახელმძღვანელოს გამოცემაზედ.

სიმღერის კლასში მიწვეულია ტფილისში ცნობილი მსახიობი მიხაილოვის ქალი (Werso-saprano) ხოლო ვიოლონჩელის კლასს ხელმძღვანელობს თვით დირექტორი ტეხნიკუმისა ილია აბაშიძე.

ჩვენ შეგვიძლიან დაარწმუნებული ვიყვნეთ და გვწამდეს, რომ ქუთაისში მუსიკალი განათლების საქმე მიზანშეწონილად და პროდუქტიულად იწარმოებს. რადგანაც ხაზინამ მნიშვნელოვანი თანხა გადასდო, ამ სასწავლებლისათვის შეძენილია საკრავები, სიმები, ნოტების ქაღალდი და სხვა ხელსაწყო, რომელიც საჭირო არის მუსიკალი განვითარების დასანერგავად.

განათლებასთან ერთად აბაშიძე ქალაქის მუსიკალის საქმის გამოცოცხლებაზედაც ფიქრობს მგონია პირველად ისმენენ ქუთაისელები ეხლა სიმფონიურ კონცერტს, რასაკვირველია ყოველივე ეს ჯერჯერობით შედარებით ვიწრო ფარგლებშია მომოქცეული, მაგრამ ტეხნიკუმთან არსებობს ორკესტრი და შესაძლებელი ხდება მოეწყოს კონცერტები და კვარტეტის და კამერის საღამოები.

პირველი კონცერტი შესდგა 19 ნოემბერს, რომელნიც დიდძალი ხალხი მოიზიდა. წმინდა შემოსავალი სრულად გადაეცა კონცერ·· მომწყობთ ტეხნიკუმის შეუძლებელ მოწაფეთა ····სარგებლოდ. კონცერტში მონაწილეობას იღებდა ორკესტრი აბაშიძის ხელმძღვანელობით. პროგრამაში შედიოდა გაიდის მეორე სიმფონია L-qir (ოთხივე ნაწილი), უვერტიურა „როზამუნდი“ და მენდელსონის— Bui-Blas მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე მსახიობი მიხაილოვის ქალი, რომელმაც შეასრულა შუმანისა და ბურერტის რომანსები და სიმღერები და კარმაზინსკი, რ·იმელმაც შეასრულა სკრიპკაზე Prelude და Presfo ბახის პირველ სკრიპკის სონეტიდან.

განზრახულია მთელი რიგი საკამერო საღამოებისა. პირველი შესდგება ახლო ხანში. მონაწილეობას მიიღებენ ელენე პსაროვი, მიხაილოვის ქალი და კარმაზინსკი.

გარდა ამისა განზრახულია დილის კონცერტი, რომელსაც წინ წაუძღვება პოპულიარი ლექცია, პროგრამაში შეტანილ მუსიკალი ნაწარმოების შინაარსის განმარტებიუ. ასეთი კონცერტები, განზრახულია. იმართებოდეს სისტემატიურად განსაკუთრებით მოსწავლეთა და მშრომელთათვის, რათა ამ უკანასკნელი მიიღონ მუსიკალი განათლება.

მიღებული ცნობებით, კონცენრტში მონაწილეთა მუსიკალი აღსრულება შესაფერის სიმაღლეზე სდგას. ქუთაისელები, რომელნიც პირველად ისმენენ სერიოზულ მუსიკას, დიდის ინტერესით იკიდებიან ამ კულტურულ ცხოვრების მათთვის ახალ მხარეს.

ტეხნიკუმში გახსნილია მოწაფეთა ორკესტრის კლასი და შემდგარია მოწაფეთა გუნდი.

ტეხნიკუმის გახსნამ, მისი დირექტორის ილია აბაშიძის ენერგიის და საერთოდ ყველა ხელმძღვანელთა თავის მოვალეობისადმი კეთილ-სინდისიერად მოპყრობის წყალობით, ახალი სასიცოცხლო ძალა შეიტანა დასავლეთ საქართველოს სატახტო ქალაქ—ქუთაისში, რასაც ჩვენ დიდის სიხარულით უნდა შევხვდეთ.

**მ ხი.**

---

**აკოფ აკოფიანის 30 წ იუბილე.** დღეს, 2 დეკემბერს სახელმწიფო ოპერის თეატრში იმართება იუბილე პროლეტარულ პოეტის აკოფ აკოფიანის 30 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად. აკოფიანის პოეზიის მოტივები [illegible] ლობს უმთავრესად მუშათა კლასის სატკივარს. მისი ლექსები რევოლ[illegible] არის გაჟღენთილი და მას ამ მხრივ პირველი ადგი უჭირავს სომხურ ლიტერატურაში. მისი ლექსების კრებული ამ დღეებში გამოვიდა ქართულ ენაზედ.

---

**რუსთაველის თეატრი.** დღეს, 2 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ახალის შემადგენლობით ჯონ-სინგის კომედია „გმირი“ 3 მოქმ. თარგმანი გრ. რობაქიძისა, დადგავს რეჟისორი კ. მარჯანიშვილი დეკორაციები მხატვარის ვ. სოლომონ ···ისთავისა.

---

**სახალხო სახლი.** დღეს, 2 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება მეორედ ამ სეზონში ტ. რამიშვილის მხიარული კ·მედია სტუმარ მასპინძლობა“ 3 მოქმ. დადგავს რეჟისორი ი. ·ბარ··ელი მონაწილეობას იღებენ დასის საუკეთესო ძალები.

---

**წარმოდგენა.** ამხ. ჩოდრიშვილის სახელობ· მუშათა კლუბის სასარგებლოდ ორშაბათს, 3 დეკემბერს ძმ. ტანტების ცირკში შესდგება გრანდიოზული წარმოდგენა 3 დიდ განყოფილებისაგან. წარმოდგენის ლოზუნგია „ხუმარათა კონფერენცია“ მთელი სანახაობის პროჟექტორი ლეო ტანტი. მონაწილეობას მიიღებენ ცირკის საუკეთესო მსახიობნი ხუმარანი, მოჯირითენი, ჰაერში მფრინავნი და სხვა. გამოსვლა სახელგანთქმულ მოსკოველ მსახიობისა ვიტალიი ლაზარენკოსი. ახალი პროგრამით. მის თანამესაუბრედ იქნება ლეო ტანტი. მხოლოდ დღეს „რადიო სატირა“ ძმები ალფონსები, „ბარიკადა ცირკში“ შესანიშნავი იმიტატორი რაფაელ ედიგე.

---

**მოწაფეთა თეატრი.** (ყოფილი მცირე თეატრი) კვირას, 2 დეკემბერს, მოწაფეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „ყვავი“—პიესა 5 მოქმედებად კარლო გაცცისა, დასდგამს მ. კიპრიანსკი, მუსიკა ვ. დასმანოვისა, დეკორაციები მხატვარის ი. გამრეკელისა.

---

**ბავშვთა სახელმწიფო თეატრი** (მცირე თეატრი). კვირას, 2 დეკემბერს, დილით ბავშვებისათვის წარმოდგენილი იქნება „ტომ საიერი“ 3 მოქმ. მარკ ტვენის მოთხრობიდან გადმოკეთებული, რეჟისორი ა. ტუგანოვი.

---

**წიგნი როდენზედ.** მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ დაამზადა წიგნი ოგიუსტი როდენზედ. წიგნის ნაწილი წაკითხული იყო ხელოვანთა სასახლეში, მოხსენების სახით. წიგნს დართული ექნება როდენის ქანდაკებათა რეპროდუქციები.

---

**კინოს რეჟისორი.** ი. კ. პერესტიანი მიიწვიეს „კინო-სევერ“-ის და „კინო-მოსკოვი“·ის კინემატოგრაფიულ საზოგადოების ფირმებმა.

---

**მოტოციკლეტების შეჯიბრება.** კვირას, 2 დეკემბერს, დიდუბის დოღის მოედანზედ „შესდგება“ მოტოციკლეტების შეჯიბრება, ტფილისის მოტო კლუბის ხელმძღვანელობით.

---

**სახელმწიფო ოპერა** სახელმწიფო ოპერის დირექციამ მოსკოვიდან მიიღო მთელი ნოტების მასალა ორკესტრისათვის. რიმსკი-კორსაკოვის ოპერის „ოქროს მამალი“-სა, რომელიც ტფილისში ჯერ არ დადგმულა და მისი დადგმა განზრახულია სეზონის მეორე ნახევარში. ოპერას დასდგავს მთავარი რეჟისორი რაპპოპორტი.

---

**„დაისი“.** ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერა „დაისი“ განზრახულია დაიდგას დეკემბრის 13 თვის სახელმწიფო ოპერაში. დასდგავს რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

---

**წოვიანოვის კონცერტი.** ორშაბათს, 3 დეკემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დიდს საკონცერტო დარბაზში შესდგება კონცერტი მიხეილ წოვიანოვისა (ვიოლონჩელზედ დამკვრელი) კონცერტის პროგრამა სერიოზულად არის შედგენილი და შესდგება უმთავრესად ძველ მუსიკოსთა ნაწარმოებებისაგან. ამასთანავე ნაწილი პროგრამისა შესრულებული იქნება ფისგარმონიის აკომპანიმენტით. აკომპანიატრობს ზ. პ. ფალიაშვილი და ე. ცოვიანოვისა.

---

**ახალი წიგნი.** მოკლე ხანში ქართულ ენაზედ გამოვა რუსი პოეტის ვალერი ბრიუსოვის ლექსების კრებული. ვალერი ბრიუსოვს 12 დეკემბერს სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილეს უხდიან მოსკოვში. ქართულად მისი ლექსების თარგმანი ეკუთვნის ვ. გაფრინდაშვილს და კ. ჭიჭინაძეს.

---

**მხატვრული ალმანახი.** ხელოვანთა მთავარი კომიტეტმა დაადგინა იანვრიდან გამოსცეს ქართული ხელოვნების „მხატვრული ალმანახი“ ხელოვნების ყველა დარგებიდან პირველ რიგში გამოვა თეატრალური ალმანახი, რომელშიაც მოთავსებული იქნება წერილები უმთავრესად კ. მარჯანიშვილის თეატრალურს შემოქმედებაზედ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობ·ი მთავარ მართველობის მიერ № 865 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.